

თბილისის მერიის მიერ განხორციელებული ზღვის საკურორტო-
სარეაბილიტაციო ქვეპროგრამის კვლევა

იანა არტიომოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

იანა არტიომოვა

19.06.2016

აბსტრაქტი

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წინაშე მდგომი პრობლემები კომპლექსურია, მათ დასაძლევად საქართველოს სახელმწიფო აწარმოებს როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ასევე სახელმწიფო თუ თვითმმართველობის დონეზე სთავაზობს სხვადასხვა პროგრამებს რეაბილიტაცია-აბილიტაციის მიზნით. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტივობების პერმანენტული მონიტორინგი როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ტენდენციების გამოამჟღავნების მიზნით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 2015 წელს ქ. თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული საკურორტო-სამკურნალო, სარეაბილიტაციო ზღვის კურორტის მოსარგებლე ბენეფიციარების მშობლების, პროგრამისა და საჯარო პირების მიმართ დამოკიდებულებების, მათ მიერ დანახული პრობლემებისა და ამ პრობლემებიდან მათეული გამოსავლის ხედვის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის აღწერას. კვლევაში მოცემულია დაფინანსების ოდენობა, ბენეფიციართა რაოდენობა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის ფაქტორები.

ჩატარებული ორი სახის კვლევიდან (რაოდენობრივი და თვისობრივი) გამოიკვეთა შემდეგი სახის ასპექტები:

რაოდენობრივმა კვლევის მეთოდმა აჩვენა:

- ბენეფიციართა მშობლები უარყოფითად აფასებენ მათ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვაში.
- კომუნიკაციის ხარისხი ცუდია მშობლებს და საჯარო მოხელეებს შორის. პროგრამის არსებობის შესახებ არა საჯარო

სტრუქტურებიდან, არამედ, ძირითადად, მეგობარ-ნაცნობისგან იგებენ.

- ფორმა N 100-ში გაწერილი საჭიროებების ნაწილი 2015 წელს საერთოდ არ შესრულებულა (მაგნიტური ქვიშის აბაზანები) ან ნაწილობრივ შესრულდა (სამკურნალო მასაჟი).
- პროგრამის სერვისების შეფასებისას გამოიკვეთა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დამოკიდებულებები. დადებითად შეფასდა საჭირო დოკუმენტაციის მოძიების სიმარტივე, საკვების ხარისხი, სასტუმროს მომსახურება დაექიმის მომსახურების ხარისხი, სასტუმროში დაბინავება. უარყოფითად შეფასდა, სანაპირო ზოლის ხელმისაწვდომობა, საკვების მოწოდების სერვისი და პროგრამის ეფექტურობა, უნივერსალური გარემო.
- წინა წლებთან სერვისების შედარებისას გამოიკვეთა სასტუმროს მომსახურების ხარისხის, სასკვების ხარისხის გაუმჯობესება. გაუარესდა საკვების მოწოდების სერვისი, სანაპირო ზოლის ხელმისაწვდომობა, უნივერსალური გარემო.

თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი ასპექტები:

- საჯარო მოხელეების მხრიდან ბენეფიციართა ან მათი მშობლების საჭიროებების უგულველყოფა.
- სასტუმროს მომსახურე პერსონალის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტები.
- ხელშეკრულებაში გაწერილი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება.

მშობლები პრობლემების მოგვარების სამ ძირითად საშუალებას ასახელებენ:

- მერიასთან არსებული შშმ ბავშვთა მშობლების კომიტეტების შექმნას.

- მკაცრად იყოს გაწერილი დამხმარით სარგებლობის კრიტერიუმები და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მშობლებისთვის.
- ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა.

კვლევაში მომსახურების მიმღებთა ჩართულობას შემოაქვს ახალ გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნა, ავლენს მათ მიერ დანახულ პრობლემებს. ამ პრობლემების დაძლევის გზები შესაძლებლობას იძლევა, გადაიხედოს აღნიშნული პროგრამის დაგეგმარება- აღსრულების მექანიზმები.

საძიებო სიტყვები:

პროგრამა: საკურორტო-სამკურნალო სარეაბილიტაციო, ქ. თბილისის მერია, მაგნიტური ქვიშა, მასაჟი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები- მოზარდები. დამოკიდებულებები: საჯარო მოხელეები, დაგეგმარებაში ჩართულობა, კომუნიკაციის ხარისხი.

Abstract

Problems affecting disable people are complex in Georgia. To resolve that problems Georgian government is improving legislation and provides different programs for rehabilitation-habilitation on state and self-governmental levels. It is crucial to conduct permanent monitoring of provided actions in order to reveal positive or negative tendencies.

This paper provides quantitative and qualitative description of 2015 City Hall funded program “resort-treatment, Rehabilitation Sea resort” beneficiary parent’s attitude towards the program and public official’s. The paper also represents the problems noted

by the parents and problem-solving ways by their scope of view. Funding, number of beneficiary and factors determining the venue are also provided.

The following aspects were identified through quantitative and qualitative research:

According to the quantitative study:

- Beneficiary's parents are negatively assessing their involvement in program planning.
- Communication quality is poor between parents and public officials. The information was delivered by friends not by officials.
- Part of needs outlined in Form #100 was not satisfied (Magnetic sand baths) or were partially accomplished (Therapeutic massage).
- Following program serviced were assessed positively: simplicity in finding necessary documents, quality of foods, hotel services and physician service quality. Negatively wasevaluated coastline access, food delivery service and program effectiveness, universal environment.
- Improvement in hotel services and food quality was noted in comparison with services provided during previous years. Worsening in the food supply service quality, coastline access and universal environment was detected.

The qualitative study revealed the following aspects:

- Neglect of beneficiary and their parent's needs by public officials.
- Discrimination cases from hotel personnel.
- Non-satisfactory performance of obligations definite in the agreement.

Three main problem-solving ways are provided by the parents:

- To create committees of parents of the children with disabilitiesat the City Hall.

- To establish strict criteria for accessibility of aids and availability of this information for the parents.
- To launch voucher system.

Including beneficiary in the study provides new experience-based knowledge, reveals problems identified by study objects. Problem-solving ways gives opportunity to revise planning and accomplishment of above mentioned program.

Keywords:

Program: resort-treatment, rehabilitation, Tbilisi City Hall, magnetic sand, massage, children with disabilities, Attitudes: public officials, involvement in planning, communication quality.